| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლაში 1 საბუნებისმეტყველო კაბინეტია, რომელშიც განთავსებულია ქიმია-ბიოლოგიის და ფიზიკის ლაბორატორიები. კაბინეტში დამონტაჟებულია ონკანი და ფანჯარაზე მიმაგრებულია გამწოვი. სასწავლო პროცესისთვის სათანადო ლაბორატორიული ინვენტარი და რეაქტივები დაცულია კაბინეტის ცალკე სივრცეში. სკოლას შემუშავებული აქვს ლაბორატორიის გამოყენების წესი, რომელიც გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე.<br>**სკოლას მიეცა რჩევა გამწოვი კარადის დამონტაჟებასთან დაკავშირებით.** |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • ლაბორატორიების ფლობის დოკუმენტაცია<br>• სასაქანლო ზედნადებები<br>• ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგები<br>• შესაბამისი საგნების მასწავლებლებთან გასაუბრება |
| შეფასება: | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| 2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი** | სკოლას მიეწოდება წყალი და ელექტროენერგია, რაც დასტურდება გადახდილი ქვითრებითა და ფაქტობრივი გარემოებით. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| **მიმოხილვა და ანალიზი** | გაფორმებულია ხელშეკრულებები შპს „თელმიკოსთან“, შპს GWP-სთან და შპს თბილისი ენერჯისთან. ყველა საკლასო ოთახი უზრუნველყოფილია ბუნებრივი და ხელოვნური განათებით.<br><br>შენობაში დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობის სისტემა, სკოლის ეზოში მდებარე პატარა შენობაში განთავსებულია საქვაბე, სანიტარული კვანძები განთავსებულია სამივე სართულზე (პირველ სართულზე 3 სველი წერტილია 2-2 კაბინით და მეორე სართულზე 2 სველი წერტილი 2-2 კაბინით, ასევე ერთი სველი წერტილი მასწავლებლებისათვის და სველი წერტილები, რომელთაც შესასვლელი ეზოს მხრიდან აქვთ. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • გადახდის ქვითრები;<br>• შპს „თელმიკოსთან“, შპს GWP- სთან და შპს თბილისი ენერჯისთან.ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგები;<br>• ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგები. |
| შეფასება: | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| **2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით** | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლის ბიბლიოთეკა განთავსებულია შენობის მეორე სართულზე და მასში დაცულია 2691 წიგნადი ერთეული, მათ შორის ყველა საფეხურისა და საგნის გრიფმინიჭებული სახელმძღვანელო. ბიბლიოთეკაში განთავსებულია 2 ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი. წიგნადი ფონდი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და აღრიცხულია ანბანურ კატალოგში, შემუშავებულია |

| | |
|---|---|
| | საინვენტარო წიგნი და მოქმედებს წიგნის გაცემა-მიღების ფორმულარები.<br>ბიბლიოთეკის საქმიანობას არეგულირებს დებულება და მის შესასვლელში გამოკრულია მუშაობის საათები.<br>ბიბლიოთეკართან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება და მისი მოვალეობები გაწერილია სკოლის შინაგანაწესში. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგები<br>• წიგნის გაცემა-მიღების ფორმულარები<br>• საბიბლიოთეკო საინვენტარო წიგნი<br>• სასაქონლო ზედნადებები |
| შეფასება: | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| 2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის დაწესებულებას აქვს მოძრავი პანდუსები, რომლებიც დასაწყობებული აქვთ. სკოლის პირველ სართულზე განთავსებული ერთ-ერთი სველი წერტილი ადაპტირებულია შშმ პირთათვის. სკოლას ამ ეტაპზე შშმ პირი არ ჰყავს. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგები<br>• პანდუსების ფლობის დოკუმენტაცია<br>• მიღება ჩაბარების აქტები |
| შეფასება: | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| 2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განსახორციელებლად სკოლას აქვს: ინტერნეტში ჩართული 24 კომპიუტერი და 4 პრინტერი. 2 კომპიუტერი განთავსებულია ბიბლიოთეკაში, 1 სამასწავლებლოში, 17 ისტ-ის კაბინეტში, 1 კანცელარიაში, 2 ბუღალტერიაში, 1 დირექტორის კაბინეტში +1 კომპიუტერი გამოიყენება ვიდეოსათვალთვალო ჩანაწერებისთვის. სკოლას აქვს 4 ლეპტოპი, რომლებიც მასწავლებლების მიერ საკლასო ოთახებში გამოიყენება.<br><br>სკოლის ვებგვერდზე iliamartali.com განთავსებულია: სკოლის ისტორია, დებულება, შინაგანაწესი, სასკოლო სასწავლო გეგმა, ფოტო და ვიდეო მასალა.<br><br>სკოლის ელექტრონული ფოსტაა: Ilia_martali@yahoo.com საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას ასრულებს სკოლის Facebook გვერდიც, სადაც მშობლებისათვის შექმნილია თითოეული კლასის დახურული ჯგუფი.<br><br>სოციალური გვერდების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ facebook და მასზე განთავსებული მასალა უფრო მრავალფეროვანია და უფრო ხშირად გამოიყენება, ვიდრე ვებგვერდი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ვებგვერდზე არ იყო წარმოდგენილი სკოლის მისია, რაც სკოლამ ვიზიტის პერიოდშივე განათავსა.<br><br>**სკოლას მიეცა შემდეგი სახის რჩევა - გააქტიურდეს ვებგვერდი და განთავსდეს მასზე ელექტრონული ჟურნალიც, რაც სასკოლო საზოგადოების ინფორმირებულობას უფრო მეტად შეუწყობს ხელს.** |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სკოლის ვებგვერდი iliamartali.com;<br>• სკოლის ელექტრონული ფოსტა Ilia_martali@yahoo.com;<br>• ვიზუალური დათვალიერების შედეგები;<br>• ვებგვერდის და ჰოსტინგის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს: | |
|---|---|
| ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლამ წარმოადგინა უსაფრთხოების დებულება, რომელიც დამტკიცებულია ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ილია მართლის სახელობის თბილისის სკოლის დირექტორის 2022 წლის 7 სექტემბრის N184 ბრძანებით. დოკუმენტით (მუხლი 4) განსაზღვრულია შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის მიზნები, ორგანიზაციაში შრომის უსაფრთხოების სისტემის მართვა, დამსაქმებლის ვალდებულება. დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია საგანგებო სიტუაციების და სამოქალაქო თავდაცვის ღონისძიებები და შექმნილია ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ილია მართლის სახელობის თბილისის სკოლის საგანგებო შტაბი (გაწერილია საგანგებო შტაბის წევრების ფუნქციონალური მოვალეობებით). სკოლის დირექტორი არის ამავდროულად შრომის უსაფრთხოების სერტიფიცირებული სპეციალისტი, რომელიც ზედამხედველობისა და დაცვის სამსახურის თანამშრომლებთან |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ერთად ხელმძღვანელობს პროცესს და მუშაობას წარმართავს ,,ზოგადი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის ბრძანება №06/ნ-ის, სკოლის წესდებით, შინაგანაწესით, დებულებითა და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში.<br>სკოლის დირექციასთან გასაუბრებით და შესყიდვის დოკუმენტაციის შესწავლით დადგინდა, რომ მათ აქვთ 11 ცეცხლმაქრი, რომელთა რაოდენობაც საევაკუაციო გეგმების თანახმდ არის განსზღვრული, თუმცა ვიზიტის პერიოდში ადგილზე არ იყო წარმოდგენილი, რამდენადაც დასატენად ჰქონდათ წაღებული. სკოლაში არ არის გამოკრული გასასვლელი მანიშნებლები EXIT რასთან დაკავშირებითაც სკოლას მიეცა შესაბამისი რეკომენდაცია - უზრუნველყოს ცეცხლმაქრების დროული განთავსება შესაბამის ადგილებზე.<br>სკოლის შესასვლელში თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია საგანგებო სიტუაციების სამსახურის ნომერი (112). |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • უსაფრთხოების დებულების დოკუმენტი;<br>• შინაგანაწესი;<br>• შესყიდვის დოკუმენტაცია;<br>• ვიზუალური დათვალიერების შედეგები. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა | |
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლის ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილებზე გამოკრული იყო საევაკუაციო გეგმები (8 ცალი), რომლებიც საჭიროებდა განახლებას, თუმცა სკოლამ იქვე წარმოადგინა საქართველოში |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | მოქმედი კანონმდებლობის - საქართველოს მთავრობის დადგენილება №370 - ით განსაზღვრული - **ევაკუაციის გეგმები, რომლებიც არ ჰქონდათ განთავსებული შესაბამის ადგილებზე, რამდენადაც არ იყო ლამინირებული. შესაბამისად სკოლას მიეცა რჩევა უახლოეს პერიოდში შეცვალოს საევაკუაციო გეგმები ახალი არსებული გეგმებით.**<br>სკოლას აქვს არაერთი სათადარიგო გასასვლელი. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • ვიზუალური დათვალიერების შედეგები;<br>• ევაკუაციის გეგმები. |
| **შეფასება:** | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |
| **გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები** | |
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლის პირველ სართულზე განთავსებულია სამედიცინო კაბინეტი. შემუშავებული და გამოკრულია სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი N41/ნ/01-23/ნ ბრძანების თანახმად სკოლას ჰყავს ექიმი და ექთანი, რომლებთანაც გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულებები. ოთახში განთავსებულია სამედიცინო ტახტი, წამლების კარადა, მაცივარი, მაგიდა, საკაცე, შირმა, საათი, დამონტაჟებულია ონკანი. ექიმთან გასაუბრებითა და დოკუმენტაციის შესწავლით დადგინდა, რომ იგი აღრიცხავს ჩატარებულ მიმართვიანობას და გაცემულ პრეპარატებს, წამლების ჩამოწერას და მიღებას. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • სამედიცინო დახმარების მექანიზმები;<br>• სკოლის შინაგანაწესი; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • ჩანაწერების ჟურნალი;<br>• ექიმთან და ექთანთან გაფორმებული ხელშეკრულებები. |
| შეფასება: | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |
| **დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად** | |
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლამ ავტორიზაციის დოკუმენტებთან ერთად განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში გადმოაგზავნა წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის მექანიზმები, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის მიერ - ბრძანება N184 2022 წლის 1 სექტემბერი, თუმცა უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დოკუმენტი არ იყო შეთანხმებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა რეკომენდაცია და ვიზიტის პერიოდში გადააგზავნა დოკუმენტი, რომელიც საქართველოს განათლების მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის 06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების“ პირველი მუხლის მე - 4 პუნქტის შესაბამისად არის შემუშავებული ვაკე-საბურთალოს რესურსცენტრში შუამდგომლობისთვის **(დანართი N-4, წერილი N128, 28 დეკემბერი, 2022წ.)**<br>სკოლამ წარმოადგინა ასევე მზრუნველთა მორიგეობის განრიგი, რომლებიც ასევე უზრუნველყოფენ წესრიგის დაცვას და ზრუნავენ კლასში სასწავლო პროცესის დისციპლინის დაცვაზე. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • მზრუნველთა პროგრამები<br>• უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | წესი და პირობები;<br>• წერილი რესურს ცენტრს (**დანართი N4**- წერილი N128, 28 დეკემბერი, 2022წ.);<br>• გასაუბრების შედეგები;<br>• სკოლის შინაგანაწესი. |
| შეფასება: | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |
| **ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს** | |
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლისა და წარმოდგენილი შესყიდვის დოკუმენტაციებით დგინდება, რომ სკოლას აქვს უსაფრთხოების 14 კამერა, მათ შორის 8 უზრუნველყოფს გარე პერიმეტრის კონტროლს. <u>იმის გათვალისწინებით, რომ სკოლის შენობას, ძირითად კორიდორებთან ერთად აქვს შეტეხილი კორიდორები, რომელთა კონტროლიც სრულად ვერ ხორციელდება არსებული სამეთვალყურეო სისტემით, სკოლას მიეცა რეკომენდაცია 15 კამერის დამატებასთან დაკავშირებით.</u> კამერების კონტროლს ახორციელებს სკოლის დირექტორის მოადგილე და დარაჯი. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგები;<br>• ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემის ფლობის დოკუმენტაცია;<br>• ვიზუალური დათვალიერება. |
| შეფასება: | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| 2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ილია მართლის სახელობის თბილისის სკოლას, რომელიც დაფუძნდა 2007 წლის 17 თებერვალს (სანოტარო აქტი), შემუშავებული აქვს წესდება, შინაგანაწესი და დებულება.<br><br>წესდება დამტკიცებულია, სრულიად საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის სახელით, უფლებამოსილი პირის - პროტოპრესვიტერი გიორგის მიერ. წესდებით განსაზღვრულია ორგანიზაციის სტატუსი; ორგანიზაციის მიზნები; დამფუძნებელი, მმართველი ორგანოები. დოკუმენტის თანახმად ორგანიზაციის უმაღლესი მმართველი ორგანოა დამფუძნებელი - სრულიად საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია, აღმასრულებელი ორგანოა დირექტორი, რომელსაც ნიშნავს და ათავისუფლებს დამფუძნებელი. თავის მხრივ დირექტორი დამფუძნებელს დასამტკიცებლად წარუდგენს ორგანიზაციის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, გეგმებსა და მიზნობრივ პროგრამებს, წლიური საქმიანობის ანგარიშს.<br><br>სკოლამ დოკუმენტაციასთან ერთად წარმოადგინა შინაგანაწესი რომელიც შეთანხმებულია დამფუძნებელთან და დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მიერ 2011 წელს, თუმცა ადგილზე ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა ახალი შინაგანაწესი (დანართი N5). შინაგანაწესი ვრცელდება დასაქმებულ ყველა პირზე, |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | მოსწავლეებსა და მათ მშობლებზე/კანონიერ წარმომადგენლებზე, ასევე, სკოლის ტერიტორიაზე მყოფ ნებისმიერ პირზე და სავალდებულოა შესასრულებლად. შინაგანაწესი წარმოადგენს სკოლასა და მასში დასაქმებულებს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. დასაქმებული ვალდებულია გაეცნოს შინაგანაწესს და აღნიშნული დაადასტუროს საკუთარი ხელმოწერით, რაც დადასტურდა წარმოდგენილი დოკუმენტით.<br>შინაგანაწესით რეგულირდება: სწავლა-სწავლების პრინციპები/სასწავლო პროცესი; სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის მონიტორინგი; შრომითი ურთიერთობის წარმოშობა; შრომითი ურთიერთობის პირობები; შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი, მივლინება; შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა; დასაქმებულის წახალისების ფორმები და დისციპლინური პასუხისმგებლობა; მასწავლებლის უფლებები და ვალდებულებები; პედაგოგიური საკრებულო, მისი დაკომპლექტების წესები და პირობები; კლასის მზრუნველის/დამრიგებელის უფლებები და ვალდებულებები; სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესი; მოსწავლეთა ქცევა და სწავლის პროცესი; მოსწავლის წახალისების ფორმები და დისციპლინური წარმოება;<br><br>მატერიალური პასუხისმგებლობა; მოსწავლეთა თვითმმართველობა; მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებები და ვალდებულებები; სკოლის სტრუქტურა და მართვა; სკოლის დირექციის უფლებები და ვალდებულებები; სკოლის ადმინისტრაციის უფლებები და ვალდებულებები; სიცოცხლის, ჯანმრთელობის, შრომის პირობების და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ღონისძიებათა შესრულება.<br>შინაგანაწესით წარმოდგენილი მარეგულირებელი ნორმები შესაბამისობაშია არსებულ მოთხოვნებთან.<br><br>სკოლას შემუშავებული აქვს ასევე დებულება, რომლითაც განსაზღვრულია სკოლის მიზნები, ფუნქციები და საქმიანობის საგანი, სკოლის სტრუქტურა, სკოლის სტრუქტურული ერთეულების უფლებამოსილება და საქმიანობის წესი.<br><br>გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი მარეგულირებელი დოკუმენტები ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის, რაც დადასტურდა მათთან გასაუბრებით. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ილია მართლის სახელობის თბილისის სკოლის შინაგანაწესი (დანართი N5);<br>• ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ილია მართლის სახელობის თბილისის სკოლის დებულება;<br>• ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ილია მართლის სახელობის თბილისის სკოლის წესდება. |
| შეფასება: | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| 2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ილია მართლის სახელობის თბილისის სკოლამ ავტორიზაციის დოკუმენტაციასთან ერთად ცენტრში წარმოადგინა 2022-2027 სასწავლო წლების |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სტრატეგიული განვითარების და 2022-2023 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმები. გეგმები დამტკიცებული სკოლის დირექტორის მიერ 2022 წლის 01 სექტემბერს. ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა 2022-2028 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმის ახალი ვერსია, რომელშიც გათვალისწინებულია სკოლის ინფრასტრუქტურის ცვლილებები, კერძოდ მესამე სართულის დაშენება, ასევე სპორტული მოედნის საფარით უზრუნველყოფა **(დანართი N3).**<br><br>სკოლის მისიის შესასრულებლად და პრობლემათა დასაძლევად შემუშავებული სტრატეგიული განვითარების გეგმა დაუფუძნა სკოლის მიერ შემუშავებულ SWOT ანალიზს და გულისხმობს სკოლისთვის არსებით, კონკრეტულ ქმედებათა გააზრებას და რეალიზაციას, რამაც თვისებრივად უნდა გააუმჯობესოს დაწესებულების მართვის სისტემა, მატერიალურ-ტექნიკურ ბაზა, ფინანსურ რესურსები, გარემო, განათლების ხარისხი, მოსწავლეთა აღზრდის სისტემა, საკადრო პოტენციალი, სწავლება-სწავლის მოტივაცია, წარმატების, ინოვაციური ფიქრისა და მოქმედების წახალისება. თითოეული ამ მიმართულებით სკოლის დირექცია აყალიბებს კონცეპტუალურ ხედვასა და კონკრეტულ სამოქმედო პროგრამას ვადებისა და შემსრულებლის მითითებით.<br><br>2022-2023 ს/წლის სამოქმედო გეგმა მოიცავს: საორგანიზაციო საკითხებს; სასწავლო-აღმზრდელობითი საგანმანათლებლო მუშაობის ორგანიზებას; სკოლის ორგანიზაციულ და სამეურნეო საქმიანობას. უნდა აღინიშნოს, რომ სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებული საკითხები, სრულად მოიცავს იმ მიმართულებებს, რომლებიც სასწავლო პროცესის გაუმჯობესებას ემსახურება. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ორივე დოკუმენტთან მიმართებით სკოლას მიეცა რჩევა - შეიმუშავოს ექვსწლიანი სტრატეგიული განვითარების გრძელვადიანი გეგმის ფორმა, რომელიც უნდა მოიცავს გრძელვადიან მიზნებს (არაუმეტეს 5-6) და რომლებიც ჩაშლილი იქნება ამოცანებად, შესრულების ინდიკატორებად და გაწერილი იქნება დროში პასუხისმგებელი პირების მითითებით. სამოქმედო გეგმაში გაიწეროს შესასრულებელი აქტივობები და შესრულების ინდიკატორები. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • 2022-2023 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა;<br>• 2022-2028 სასწავლო წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა;<br>• SWOT ანალიზი. |
| შეფასება: | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| 2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლაში შემუშავებულია ერთიანი საქმისწარმოების დებულება, რომელიც შესაბამისობაშია არსებულ კანონმდებლობასთან.<br>ყველა ჟურნალი (წიგნი) ზონარგაყრილი და ბეჭედ დასმულია.<br><br>სკოლას ჰყავს საქმისმწარმოებელი, რომელიც პასუხისმგებელია ასევე ადამიანური რესურსის პირადი საქმეების წარმოებაზე. მასთან გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • საერთო ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალი;<br>• საკადრო ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალი;<br>• შემოსული დოკუმენტაციის რეგისტრაციის ჟურნალი;<br>• გასული დოკუმენტაციის რეგისტრაციის ჟურნალი;<br>• მოსწავლეთა მოძრაობის აღრიცხვის ჟურნალი; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • მოსწავლეთა ჩაწერის ანბანური წიგნი;<br>• საქმისწარმოების ერთიანი წესი. |
| შეფასება: | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| | |
|---|---|
| **რეკომენდაციები:** | **2.6.ა** - სკოლის დირექციასთან გასაუბრებით და შესყიდვის დოკუმენტაციის შესწავლით დადგინდა, რომ მათ აქვთ 11 ცეცხლმაქრი, რომელთა რაოდენობაც საევაკუაციო გეგმების თანახმდ არის განსზღვრული, თუმცა ვიზიტის პერიოდში ადგილზე არ იყო წარმოდგენილი, რამდენადაც დასატენად ჰქონდათ წაღებული. სკოლაში არ არის გამოკრული გასასვლელი მანიშნებლები EXIT რასთან დაკავშირებითაც სკოლას მიეცა შესაბამისი რეკომენდაცია - უზრუნველყოს ცეცხლმაქრების, და EXIT-ების დროული განთავსება შესაბამის ადგილებზე.<br>**2.6. ე** - იმის გათვალისწინებით, რომ სკოლის შენობას, ძირითად კორიდორებთან ერთად აქვს შეტეხილი კორიდორები, რომელთა კონტროლიც, არსებული სამეთვალყურეო სისტემით, სრულად ვერ ხორციელდება, სკოლას მიეცა რეკომენდაცია 15 კამერის დამატებასთან დაკავშირებით. |
| **რჩევები:** | **2.1.გ** უზრუნველყოს სპორტული მოედნის საფარით მოწყობა უახლოეს პერიოდში<br>**2.1.დ** სკოლას მიეცა რჩევა გამწოვი კარადის დამონტაჟებასთან დაკავშირებით.<br>**2.5.** გააქტიურდეს ვებგვერდი და განთავსდეს მასზე ელექტრონული ჟურნალიც, რაც სასკოლო საზოგადოების ინფორმირებულობას უფრო მეტად შეუწყობს ხელს.<br>**2.6. ბ** - სკოლას მიეცა რჩევა უახლოეს პერიოდში შეცვალოს საევაკუაციო |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | გეგმები ახალი არსებული გეგმებით.<br>**2.8.** სკოლამ შეიმუშავოს ექვსწლიანი სტრატეგიული განვითარების გრძელვადიანი გეგმის ფორმა, რომელიც უნდა მოიცავს გრძელვადიან მიზნებს (არაუმეტეს 5-6) და რომლებიც ჩაშლილი იქნება ამოცანებად, შესრულების ინდიკატორებად და გაწერილი იქნება დროში პასუხისმგებელი პირების მითითებით. სამოქმედო გეგმაში გაიწეროს შესასრულებელი აქტივობები და შესრულების ინდიკატორები. |
| **ხარვეზები:** | |
| **სტანდარტის შეფასება** | ☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ სტანდარტი დარღვეულია |

**3. ადამიანური რესურსი**

| **3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი** | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ილია მართლის სახელობის თბილისის სკოლაში 79 თანამშრომელია: დირექტორი, სკოლის მოძღვარი, მოადგილე სასწავლო დარგში, საფინანსო სამსახურის უფროსი, მოადგილე აღმზრდელობით დარგში, სამეურნეო სამსახურის უფროსი, ფინანსისტი, საქმეთა მმართველი, საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორანტი, ფსიქოლოგი, კლასგარეშე მუშობის კოორდნატორი, ექიმი, ექთანი, ისტ. ლაბორანტი, სასადილოს გამგე, დაცვისა და ზედამხედველობის სამსახურის 8 თანამშრომელი, მებაღე-მეეზოვე, 2 დამლაგებელი, ბიბლიოთეკარი, დამხმარე მუშა და 51 მასწავლებელი, მათ შორის უფროსი მასწვლებელია დირექტორი და მასწავლებლობას მოწვეულის სტატუსით ითავსებენ დირექტორის მოადგილეებიც. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სკოლას ჰყავს 3 საღვთო სჯულის მასწავლებელი. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • სკოლის სტრუქტურა;<br>• საშტატო განრიგი;<br>• ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგები. |
| **შეფასება:** | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| **ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ** | |
|---|---|
| **პედაგოგთა საერთო რაოდენობა** | **51** |
| **მოწვეული/მაძიებელი** | **12** |
| **უსტატუსო მასწავლებლი** | **3 შემცვლელი მასწავლებელი/ 3 საღვთო სჯულის მასწავლებელი** |
| **უფროსი მასწავლებლი** | **33** |
| **წამყვანი მასწავლებლი** | |
| **მენტორის სტატუსი** | |

| 3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ილია მართლის სახელობის თბილისის სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. 51 მასწავლებლიდან 33 არის უფროსი მასწავლებელი, 12 მოწვეული, 3 შემცვლელი და 3 საღვთო სჯულის მასწავლებელი. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • ამონაწერი ემისიდან;<br>• მასწავლებელთა პირადი საქმეები; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • თანამშრომელთა პირადი საქმეები;<br>• თანამშრომლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები;<br>• საშტატო განრიგი და მასწავლებელთა სათობრივი დატვირთვა. |
| შეფასება: | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| 3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ილია მართლის სახელობის თბილისის სკოლაში მასწავლებელთა შერჩევის წესი რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით - თავი IV შრომითი ურთიერთობის წარმოშობა და პირობები - მუხლი 7. სკოლაში მასწავლებლის/თანამშრომლის მიღება, სამსახურებრივი შეთავსება და საქმიანობის შეწყვეტის წესი, რომელიც განისაზღვრება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის“ შესაბამისად.<br><br>შინაგანაწესით (თავი VIII) განსაზღვრულია დასაქმებულის წახალისების ფორმები და დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხები. წესის თანახმად დასაქმებულის წახალისების შესახებ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | გადაწყვეტილებას იღებს სკოლის დირექტორი, რომელიც ფორმდება ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით (ბრძანება) და ინახება დასაქმებულის პირად საქმეში, ხოლო დირექტორის მოადგილე, შესაბამისი საგნობრივი კათედრა/პედაგოგიური საკრებულო უფლებამოსილია წერილობით მიმართოს სკოლის დირექტორს დასაქმებულის/დასაქმებულების წახალისების თხოვნით.<br>სკოლა უფლებამოსილია დასაქმებულის მიმართ გამოიყენოს წახალისების სხვადასხვა ფორმა პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისათვის ან/და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის ან/და დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის ან/და მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის ან/და საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის.<br>წახალისების ფორმებად განსაზღვრულია: მადლობის გამოცხადება; სიგელით დაჯილდოება; ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება; ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა; დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა. დასაქმებულის მიმართ შეიძლება ერთდროულად გამოყენებული იქნეს წახალისების რამდენიმე ფორმა.<br><br>შინაგანაწესით განსაზღვრულია ასევე დისციპლინური წარმოების წესი, რომლის თანახმად დისციპლინური დევნა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ სკოლის შინაგანაწესით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით, ჯეროვანი და სამართლიანი პროცედურით. დისციპლინური დევნისას სკოლა ვალდებულია განუმართოს დასაქმებულს მის |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | მიერ ჩადენილი დისციპლინური გადაცდომის არსი.<br><br>დაუშვებელია სასტიკი ან ისეთი დისციპლინური სახდელის გამოყენება, რომელიც ლახავს პირის პატივსა და ღირსებას. შინაგანაწესი განსაზღვრავს ასევე დასაქმებულის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. შინაგანაწესის გაცნობის ვალდებულება აქვს ყველა თანამშრომელს რაც ხელშეკრულების გაფორმების აუცილებელ პირობას წარმოადგენს. შესაბამისად უზრუნველყოფილია ყველა პროცესის გამჭვირვალობა. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • სკოლის შიანაგანაწესი;<br>• ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალი;<br>• ინტერვიუ სკოლის ადმინისტრაციასთან;<br>• ინტერვიუ სკოლის მასწავლებლებთან. |
| შეფასება: | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| 3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ილია მართლის სახელობის თბილისის სკოლის ყველა თანამშრომელთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება, რომელიც შედგენილია შრომის კოდექსის მოთხოვნის შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულება შეიცავს ზოგად დებულებას, ხელშეკრულების საგანს (მასწავლებლის შემთხვევაში, საგანი რომელსაც ასწავლის და სტატუსი), მხარეთა უფლება მოვალეობას, სამუშაო ადგილსა და დროს, დასვენების დროს, ანაზღაურების წესს, ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესს, მხარეთა პასუხისმგებლობის წესს, ხელშეკრულების მოქმედების ვადას და შრომითი ურთიერთობის |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | შეწყვეტის პირობებს, მხარეთა რეკვიზიტებსა და ხელმოწერას. ხელშეკრულებები ხელმოწერილია ორივე მხარის მიერ, ხოლო თანამშრომელთა პირადი საქმეების შესწავლის შედეგად დადასტურდა, რომ არც ერთ მათგანს არ აქვს წარმოდგენილი ცნობები იმასთან დაკავშირებით, რომ არ არის ნასამართლევი და არ აქვს ჩადენილი დანაშაული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • გაფორმებული ხელშეკრულებები;<br>• ინტერვიუ ადმინისტრაციასთან/მასწავლებლებთან. |
| **შეფასება:** | ☐ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☒ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| 3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ილია მართლის სახელობის თბილისის სკოლის შინაგანაწესის და დებულების თანახმად სკოლის დირექტორი, დირექტორის მოადგილესთან ერთად უზრუნველყოფს მასწავლებელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელ ღონისძიებათა გატარებას. სკოლამ წარმოადგინა სასწავლო დარგში დირექტორის მოადგილის მიერ შემუშავებული 2022-2023 ს/წ სამუშაო გეგმა, რომელშიც სხვა გასატარებელ ღონისძიებებთან ერთად პრიორიტეტი მინიჭებული აქვს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობას, პედაგოგთა პროფესიული და მეთოდური მუშაობის შესწავლასა და გამოცდილების გაზიარებას, ასევე მასწავლებელთა საგნობრივ ტრენინგებში მონაწილეობის უზრუნველყოფას. სკოლის პედაგოგები პროფესიული განვითარების მიზნით, საქართველოს საპატრიარქოს განათლების ცენტრის ხელშეწყობით, |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | პერიოდულად მონაწილეობენ კვალიფიკაციის ასამაღლებელ სემინარებში, ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე და უზიარებენ გამოცდილებას.<br>სკოლას შემუშავებული აქვს ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიული განვითარების გეგმა, რომლის თანახმად განსაზღვრულია განსავითარებელი ამოცანები: შედეგზე ორიენტირებულობა; ურთიერთობების მართვა; სწორი უკუკავშირი; თანამიმდევრულობა მოქმედებაში და სხვა. გეგმაში წარმოდგენილია ასევე განმავითარებელი ღონისძიებები, ვადები, რესურსები და მოსალოდნელი შედეგები. გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირია დირექტორის მოადგილე. ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობა გაწერილია სკოლის 2022-2023 ს/წლის სამოქმედო გეგმაშიც.<br>რამდენადაც ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები გაბნეულია სხვადასხვა დოკუმენტში, სკოლას მიეცა რჩევა შეიმუშავოს ერთიანი ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომლის მიზანი იქნება მაღალკვალიფიციური კადრის მოზიდვა, შერჩევა და შენარჩუნება, ეფექტური საკადრო პოლიტიკის მეშვეობით, ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო პროცესის ეფექტურად განხორციელება, სკოლაში დასაქმებულთა მოტივაციის, თვითრეალიზების და ნაყოფიერი საქმიანობის უზრუნველყოფა. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • სასწავლო დარგში დირექტორის მოადგილის მიერ შემუშავებული 2022-2023 ს/წ სამუშაო გეგმა;<br>• ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიული განვითარების გეგმა;<br>• მასწავლებლების პირადი საქმეები; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • ადმინისტრაციასთან/მასწავლებლებთან/ თანამშრომლებთან გასაუბრების შედეგები. |
| შეფასება: | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| 3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | მასწავლებლებთან, დირექციასთან, მშობლებთან და მოსწვლეებთან გასაუბრების შედეგების გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ სკოლაში სუფევს ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო.<br>მასწავლებლები ერთობლივი მუშაობით აღწევენ შედეგებს, ატარებენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს, ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებებს და ზრუნავენ როგორც საკუთარ ასევე ერთმანეთის პროფესიულ განვითარებაზე.<br>მშობლებთნ გასაუბრების შედეგებით დასტურდება, რომ სკოლაში განსაკუთრებულ როლს ანიჭებენ მათი შვილების უსაფრთხოებას, მასწავლებლები ეხმარებიან მათ შვილებს სირთულეების დაძლევაში და საჭიროების შემთხვევაში უტარებენ ინდივიდუალურ დამატებით გაკვეთილებს, ასევე სკოლის მთავარ პრიორიტეტად ასახელებდნენ იმას, რომ სკოლაში მათი შვილების სულიერ განვითარებაზეც ზრუნავენ.<br>სხვადასხვა საფეხურის მოსწავლეებთან ჩატარებული გასაუბრებების დროს გამოიკვეთა, რომ ისინი სკოლის კედლებში, როგორც საკუთარ ოჯახში გრძნობენ თავს. აქვთ ერთმანეთთან და მასწავლებლებთან მეგობრული ურთიერთობა, უტარდებათ მრავალფეროვანი გაკვეთილები და მასწავლებლები ყოველთვის |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | მზად არიან დაეხმარონ მათ სიძნელეების დაძლევაში. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • მშობლებთან, მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგები |
| **შეფასება:** | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| **რეკომენდაციები:** | |
|---|---|
| **რჩევები:** | 3.5.რამდენადაც ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები გაბნეულია სხვადასხვა დოკუმენტში, სკოლას მიეცა რჩევა შეიმუშავოს ერთიანი ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომლის მიზანი იქნება მაღალკვალიფიციური კადრის მოზიდვა, შერჩევა და შენარჩუნება, ეფექტური საკადრო პოლიტიკის მეშვეობით, ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო პროცესის ეფექტურად განხორციელება, სკოლაში დასაქმებულთა მოტივაციის, თვითრეალიზების და ნაყოფიერი საქმიანობის უზრუნველყოფა. |
| **ხარვეზები:** | 3.4. თანამშრომელთა პირადი საქმეების შესწავლის შედეგად დადასტურდა, რომ არც ერთ მათთგანს არ აქვს წარმოდგენილი ცნობები იმასთან დაკავშირებით, რომ არ არის ნასამართლევი და არ აქვს ჩადენილი დანაშაული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ. |
| **სტანდარტის შეფასება** | მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:<br><br>☐ **სტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☒ **სტანდარტი დარღვეულია** |

- თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება, ექსპერტთა ჯგუფი ამასთანავე ავსებს ავტორიზაციის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე.

**XI. თანდართული დოკუმენტაცია**

გვერდების რაოდენობა -54

**დანართი 1,2** -ინკლუზიური განათლება

**დანართი N3-** ექვსწლიანი გეგმა

**დანართი N4** -წერილი რესურს ცენტრს

**დანართი N5** -შინაგანაწესი

**დანართი N6** - სკოლის არგუმენტირებული პოზიცია

თბილისი, 23.01.2023



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.